

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N32 საცხოვრებელი სახლის  
N24 ბინაზე, მოქალაქე დავით ცნობილაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე დავით ცნობილაძის განცხადება /2010 წლის 22.12 N1683/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N32 საცხოვრებელი სახლის N24 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N32 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დავით ცნობილაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N32 საცხოვრებელი სახლის N24 ბინაზე /საერთო ფართობი 51,20 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,37 კვ.მ, დამხმარე ფართობი 34,83 კვ.მ./, მოქალაქე დავით ცნობილაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ.ანდლულაძე